ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი №01-06/04

29 აპრილი, 2021 წელი

დაბა ქედა,

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე
სხდომა დამთავრდა: 11:50 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა შუქრი თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან დევაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
რეზო თურმანიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
გოჩა გორგილაძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
სილოვან ბერიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ვაჟა ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
როსტომ შერვაშიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;
კარლო თურმანიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
უშანგი დუმბაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველების"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ტარიელ მანველიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე;
ოთარ ბოლქვაძე - საკრებულოს წევრი;
ამირან ცინცაძე - საკრებულოს წევრი;
ბადრი შავლიძე - საკრებულოს წევრი;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;
თემურ ავალიანი - საკრებულოს წევრი;
გენადი არძენაძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა:
არჩილ გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
გოჩა გათენაძე - საკრებულოს წევრი;
ზურაბ თავდგირიძე - საკრებულოს წევრი;
ბაქარ ბარამიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
რამინ ბერიძე - საკრებულოს წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე- საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/04 მორიგი სხდომა

29 აპრილი 2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	შუქრი თურმანიძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
3	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
4	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
5	გოჩა გორგილაძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	არჩილ გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
9	ვაჟა ბოლქვაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
10	როსტომ შერვაშიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	ტარიელ მანველიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	კარლო თურმანიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
13	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
14	ბაქარ ბარამიძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
15	უშანგი დუმბაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
16	მზია ბოლქვაძე	ფრაქციის თავმდომარის მოადგილე	
17	ამირან ცინცაძე	საკრებულოს წევრი	
18	ბადრი შავლიძე	საკრებულოს წევრი	
19	ოთარ ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
20	ზურაბ თავდგირიძე	საკრებულოს წევრი	
21	თემურ ავალიანი	საკრებულოს წევრი	
22	რამინ ბერიძე	საკრებულოს წევრი	
23	გენადი არძენაძე	საკრებულოს წევრი	
24	გოჩა გათენაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1.ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

2. სსიპ - კოლეჯი „ბლექსი"-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: სილოვან ბერიძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: რეზო თურმანიძე

დღის წესრიგის დამტკიცებამდე აზრი გამოთქვეს:

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ დღის წერიგის დამტკიცებამდე კითხვით მიმართა მომხსენებელს სახნავ-სათესი მიწების უფასოდ დამუშავების პროგრამის თაობაზე, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ აღნიშნული პროექტი ამ დროისათვის წარმატებით მიმიდნარეობს და ყველა ფერმერი ვისაც სურვილი ქონდა ჩართული იყო აღნიშნულ პრორგამაში.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 აპრილის №01-06/04 მორიგი სხდომის დღის-წესრიგი.

1. მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი".

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2021 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (შემოსული დოკუმენტი №34/04, 22.04.2021 წელი) და განმარტა, რომ 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის 30 მარტის №19 განკარგულებით, ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გამოყოფილი იყო 750 000 ლარი. მიმდინარე წლის აპრილის თვეში, სოფლებში ჩატარებული მოსახლეობის კრებების მიერ განისაზღვრა აღნიშნული თანხებით განსახორციელებელი პროექტები ცალკეულ სოფლებში, რისი მიხედვითაც შედგენილი იქნა შესაბამისი პროგრამა, რომლის შესყიდვების განხორციელებისათვის კი საჭიროა პროგრამის დამტკიცება საკრებულოს მიერ.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს რამდენად პრიორიტეტული იყო მუნიციპალიტეტის მიერ გარე განათებისა წერტილების დამონტაჟება და რა თანხა იხარჯება ყოველწლიურად აღნიშნული პროგრამის მოვლა-შენახვისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ განმარტა, რომ წლის განმავლობაში დაახლოებით 150 ათასი ლარი არის საჭირო მუნიპალიტეტის ტერიტორიაზე გარე-განათებისათვის ექსპლუატაციის უზრუნველყოფისათვის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი -0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №9).

2. მოისმინეს: ,,სსიპ - კოლეჯი „ბლექსი"-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი".

მომხსენებელმა მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,სსიპ - კოლეჯი „ბლექსი"-სთვის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი"(შემოსული დოკუმენტი №35/04, 22.04.2021 წელი).

ასევე განმარტა, რომ ბოლო წლებში მუნიციპალიტეტში მუდმივად იზრდება მოთხოვნა ახალგაზრდობის მხრიდან პროფესიული განათლების მიღების კუთხით, ამიტომ მიზანშეწონილად მიიჩნია მუნიციპალიტეტმა სათანადო სასწავლო სივრცის მოსაწყობა,

აქედან გამომდინარე წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად მოხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივი რეგულაცია, კერძოდ: ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედა აკ. წერეთლის ქ. №4 (ყოფილი №3)-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 242.3 კვ.მ. ფართობის (ს/კ 21.03.34.286.01/502) (გადასაცემი შენობის ფართის შიდა აზომვითი ნახაზი განკარგულებას თან ერთვის) სსიპ - კოლეჯი „ბლექსი"-სათვის (ს/კ:245610398) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უვადოთ, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღმასრულებელი ორგანოსათვის თანხმობის მიცემის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს წარმოდგენილ კოლეჯს ქონდა თუ არა ლიცენზია და რა სპეციალობების შესწავლა უნდა მოხდეს აღნიშნულ სასწავლო ცენტრში.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ განმარტა, რომ მოსახლეობის მოთხოვნების მიხედვით მოხდება სხვადასხვა სპეციალობების ჯგუფების შექმნა და შესაბამისი სწავლების დაგეგმვა. წარმოდგენილი სასწავლებელი არის აკრედიტებული და საქართველოში ერთერთი წარმატებული პროფესიული სასწავლებელი.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №10).

3. მოისმინეს: ,,ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ,,ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2021 წლის I კვარტლის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი" (შიდა დოკუმენტი №49-04; 26.04.2021 წელი.).

აზრი გამოთქვეს:

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე ვაჟა ბოლქვაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ როგორ ხდება ბიუჯეტის გადანაწილება მერიის სხვადასხვა სამსახურებზე კვარტალების მიხედვით და მათი პრიორიტეტებად დაყოფა.

საკრებულოს წევრი ამირან ცინცაძე დაინტერესდა შესაძლებელი არის თუ არა ერთჯერადი 200 ლარიანი ვაუჩერების პროგრამის გაგრძელება მუნიციპალიტეტში.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ბიუჯეტის კვატალური გადანაწილება მერიის ყველა სამსახურზე, გარდა ეკონომიკური სამსახურისა ხდება საფინანსო სამსახურის მიერ, ხოლო ვაუჩერებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ეს ერთჯერადი პროგრამა იყო და მას მრავალჯერადი სახე ვერ მიეცემოდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება №11).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე შუქრი თურმანიძემ 11:50 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: შუქრი თურმანიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში ნონა თებიძე